ხელშეკრულება N 20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „ 06 “ 03. 2012 წ.

სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“ (შემდგომში „შემსყიდველი) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის სახით, და შპს „ფორმატი“ (შემდგომში „მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ გუგუნაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 983.50 (ცხრაას ოთხმოცდასამი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, სადაც გამჭვირვალე ბაინდერის ფაილის, ყოველდღიური ბლოკნოტის და რვეული-წიგნის (CPV 22800000) ღირებულება შეადგენს - 910 (ცხრაას ათი) ლარს, ხოლო დაფისა და ორმაგი წვერით პერმანენტ მარკერის (CPV 39292400) ღირებულება შეადგენს - 73.50 (სამოცდაცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მიწოდებული საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება, დანართი №1-ის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 დღის განმავლობაში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განსორციელება.

5. გაწეული მომსახურების ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართ N1-ში გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ფრიდონ სტეფნაძე ან/და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი პაატა მკერვალიშვილი, რომელთაც აღნიშნული ინსპექტირება შეუძლიათ განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად ისე ერთობლივად.

6.3 ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ჯაბა ხმალაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.4% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.4% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში;

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ **საფინანსო-ანალიტიკური სამსახური**	შპს „ფორმატი“
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16	მისამართი: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ N4
ტელ: 032 226 10 72, 032 226 10 95.	ტელ: 032 2187187.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204577813	საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N GE42TB0600000002467773 „თიბისი ბანკის“ ტ/ფ. კოდი TBCBGE22; ს/კ - 204872575

შესყიდვის ობიექტის დასახელება და CPV კოდი	შესყიდვის ობიექტის მახასიათებელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი და ვადები
ფაილი გამჭვირვალე ბაინდერის, (CPV 22852100)	L-4796, "Leitz", A4x100	შეკვრა	20	6.50	130.00	ქ.თბილისი გორგასლის ქ N16 სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
ბლოკნოტი (CPV 22816100)	ყოველდღიური 2012 წ. A5,151304 ქართული, შავი (მატ)	ცალი	30	12.00	360.00	
რვეული-წიგნი (CPV 22816100)	A4, Lc-7002/1, "Office Book"100ფ.	ცალი	60	7.00	420.00	
მარკერი დაფის (CPV 39292400)	De-6804, წითელი	ცალი	30	0.55	16.50	
	De-6804, ლურჯი	ცალი	30	0.55	16.50	
	De-6804, შავი	ცალი	30	0.55	16.50	
პერმანენტ მარკერი ორმაგი წვერით (CPV 39292400)	De-6824, შავი	ცალი	30	0.40	12.00	
	De-6824, წითელი	ცალი	30	0.40	12.00	

სულ ჯამი:	983.50 ლარი

შემსყიდველი

მიმწოდებელი